პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! | Пролетарии всех стран, соединяйтесь!

საქართველოს მუშათა და გლეხ-
თა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

1924 წ.

იუსტიციის სახალხო კომისარი-
ატის გამოცემა

# Собрание Узаконений и Распоряжений

РАБОЧЕ-КРЕСТ. ПРАВИТ. ГРУЗИИ

1924 г.

Издание Народного Комиссариата Юстиции

| ნოემბერი | № 6 | ნაწ. პირველი | Ноябрь | № 6 | Отд. ПЕРВЫЙ |
|---|---|---|---|---|---|

## შინაარსი:

28. დადგენილება № 113 ც. ა. კ. „თამასუქის დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ“.

29. დადგენილება № 114 ც. ა. კ. „სისხლის სამართლის კოდექსისათვის 228¹ მუხლის დამატების შესახებ“.

30. დადგენილება № 115 ც. ა. კ. „ამნისტიის შესახებ“.

31. დადგენილება № 116 ც. ა. კ. „ამნისტიის შემფარდებელი კომისიების შედგენის შესახებ“.

32. დადგენილება № 117 ც. ა. კ. „ადგილობრივი შემოსავლის გასაძლიერებლად სახელმწიფო გადასახადსა და გამოსაღებზე დაწესებული ზედნართის გადიდების შესახებ“.

33. დადგენილება № 118 ც. ა. კ. „სისხლის სამართლის კოდექსის 211, 211¹ და 211² მუხლის შეცვლის შესახებ“.

34. დადგენილება № 119 ც. ა. კ. „კერძო პირთა და საზოგადოებათა ქონების რეკვიზიციისა და კონფისკაციის წესის დებულების (სამოქ. სამართ. კოდ. 69 და 70 მუხ. დანართი) მე-11 მუხლის ქართული რედაქციის შეცვლის შესახებ“.

35. დადგენილება № 120 ც. ა. კ. „ვ. ი. ლენინის ჟეტონის ტარების წესის შესახებ გამოცემული დადგენილების გასაუქმებლად“.

36. დადგენილება № 121 ც. ა. კ. „ავადმყოფ და დაჭრილ წითელარმიელთა ომის ინვალიდთა და დემობილიზაციით განთავისუფლებულთა დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ“ (დებულებითურთ).

## СОДЕРЖАНИЕ:

28. Постановление № 113 ВЦИК'а „О введении в действие Положения о векселях“.

29. Постановление № 114 ВЦИК'а „О включении в Уголовный Кодекс ст. 228¹“.

30. Постановление № 115 ВЦИК'а „Об амнистии“.

31. Постановление № 116 ВЦИК'а „Об образовании Комиссии по применению постановления об амнистии“.

32. Постановление № 117 ВЦИК'а „Об увеличении установленных для усиления местных доходов надбавок к государственным налогам и сборам“.

33. Постановление № 118 ВЦИК'а „Об изменениях в ст. ст. 211, 211¹ и 211² Уголовного Кодекса“.

34. Постановление № 119 ВЦИК'а „Об изменении грузинской редакции 11 ст. Положения о порядке реквизиции и конфискации имущества частных лиц и обществ (приложение к ст. ст. 69 и 70 Гражданского Кодекса).

35. Постановление № 120 ВЦИК'а „Об отмене постановления о порядке ношения жетона Вл. И. Ленина“.

36. Постановление № 121 ВЦИК'а „Об утверждении положения о Всегрузинском Комитете помощи больным и раненным красноармейцам, инвалидам войны и демобилизованным (с положением).

37. Постановление № 122 ВЦИК'а „О введении в действие Положения

37. დადგენილება № 122 ც. ა. კ. „სადისციპლინო სასამართლოს დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ (დებულებითურთ).

38. დადგენილება № 123 ც. ა. კ. „სისხლის სამართლის კოდექსის 76 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე 1924 წ. ნოემბრის 6-ს თარიღით გამოცემული ამნისტიის გაუვრცელებლობის შესახებ“.

39. დადგენილება № 124 ც. ა. კ. „ეკლესიების გახსნისა და რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციის წესის შესახებ“.

40. დადგენილება № 125 ც. ა. კ. „ა. გეგეჭკორის და სხვ. დანიშვნის შესახებ“.

41. დადგენილება № 126 ც. ა. კ. „ვ. კანდელაკის თანამდებობიდან განთავისუფლებისა და ა. ფანცხავას დანიშვნის შესახებ“.

42. დადგენილება № 38 ს. კ. ს. „მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.“

о Дисциплинарных Судах" (с положением).

38. Постановление № 123 ВЦИК'а „О нераспространении амнистии от 6 ноября с/г. на деяния, предусмотренные ст. 76 Уголовного Кодекса“.

39. Постановление № 124 ВЦИК'а „О порядке открытия церквей и регистрации религиозных обществ“.

40. Постановление № 125 ВЦИК'а „О назначении А. Гегечкори и др.“.

41. Постановление № 126 ВЦИК'а „Об освобождении от должности В. Канделаки и назначении А. Панцхава“.

42. Постановление № 38 СНК „О мероприятиях по борьбе с малярией“.

---

## 28. დადგენილება № 113

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა**

**თამასუქის დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ამასთანავე დართული თამასუქის დებულება.

2. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გაცემული სავალო ვალდებულება, რომელიც შეეფერება ამა დებულებას და რომლის პროტესტის ვადა გასული არ არის, თამასუქად ჩაითვლება.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1924 წ. ნოემბრის 2.
ტფილისი—სასახლე.

## 28. Постановление № 113

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов**

**О введении в действие Положения о векселях.**

Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет Советов постановляет:

1. Утвердить и ввести в действие приложенное к настоящему постановлению Положение о векселях.

2. Выданные после советизации Грузии долговые обязательства, соответствующие настоящему Положению и срок протеста которых не истек, считаются векселями.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *М. Цхакая.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1924 г. ноября 2.
Тифлис—Дворец.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დებულება თამასუქისათვის.

### თამასუქი.

1. თამასუქი ეწოდება ფულად სავალო ვალდებულებას, რომელსაც ამა დებულებისამებრ ერთი მხარე (თამასუქის გამცემი) წერილობით აძლევს მეორე მხარეს (თამასუქის პატრონს), და რომლის სათანადო სალერბო გამოსალებიც გადახდილია. თამასუქი არის მარტივი და შეპირებული. ყველა თამასუქისათვის დაწესებულია მონაწილეთა განსაკუთრებული პასუხისმგებლობა და გადახდის განსაკუთრებული წესი (თამასუქის ძალა).

## კარი I.

### მარტივი თამასუქი.

2. მარტივ თამასუქში, რათა მას თამასუქის ძალა არ დაეკარგოს, აუცილებლად აღნიშნულ უნდა იქნეს: 1) თამასუქის შედგენის ადგილი და დრო (წელიწადი, თვე და რიცხვი), 2) გასაცემი ვალდებულების სახელწოდება—სიტყვა „თამასუქი“—იმ ენაზე, რომელზედაც თვით ვალდებულებაა დაწერილი, 3) თვინიერ რაიმე პირობისა ან თუობისა დაპირება თამასუქის გამცემისა, რომ იგი გადაიხდის განსაზღვრულ ფულად თანხას, რაც აღნიშნულ უნდა იქნეს ოქროს მანეთობით, ან ჩერვონეცობით, ან ჩერვონეცობით სახელმწიფო ბანკის საბანკო ბილეთების სახით, ან და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ფარგალში სახმარებელი ვალიუტით, და რაც დაწერილ უნდა იქნეს სიტყვებით, 4) სახელი იმ პირისა, ვისთვისაც ან ვისი განკარგულებითაც თამასუქის თანხა გადახდილ უნდა იქნეს, 5) გადახდის ვადა, 6) თამასუქის გამცემის ხელმონაწერი.

**შენიშვნა 1.** ყოველი ისეთი შესწორება თამასუქის ტექსტში, რაც მის შინაარსს შესცვლის, ცალკე უნდა აღინიშნოს თამასუქის გამცემის ხელმონაწერის წინ. თამასუქში აღნიშნული თანხის შესწორება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, უკეთუ თამასუქის გამცემს არ შეუძლიან (წერა-კითხვის უცოდინარობით, ავადმყოფობით, უსინათლობით თუ სხვა მიზეზით) ხელის მოწერა, შეიძლება მის მაგიერ მისივე თხოვნით თამასუქს სხვა პირმა მოაწეროს ხელი, რაც შემოწმებულ უნდა იქნეს სანოტა-

# ПОЛОЖЕНИЕ

### о векселях.

1. Векселем называется долговое денежное обязательство, выданное одной стороной (векселедателем) другой стороне (векселедержателю) в письменной форме с соблюдением требований настоящего положения и оплаченное установленным гербовым сбором. Векселя бывают простые и переводные. По всем векселям устанавливается особая ответственность участников и особый порядок удовлетворения (вексельная сила).

## ОТДЕЛ I.

### О простых векселях.

2. Простой вексель под страхом утраты вексельной силы должен непременно содержать в себе все следующие указания: 1) означение места и времени (года, месяца и числа) составления векселя, 2) наименование выдаваемого обязательства словом „вексель“ на том же языке, на котором написано само обязательство, 3) не ограниченное никакими условиями и оговорками обещание векселедателя произвести платеж определенной суммы денег, написанной прописью и выраженной или в золотых рублях или червонцах или в червонцах банковыми билетами Государственного Банка и в валюте, имеющей хождение в СССР, 4) наименование лица, которому или по приказу которого платеж должен быть произведен, 5) означение срока платежа, 6) подпись векселедателя.

*Примечание 1-ое.* Всякие поправки в тексте векселя, изменяющие его содержание, должны быть оговорены перед подписью векселедателя. В означении вексельной суммы не допускаются никакие поправки. Вексель может быть подписан за векселедателя, не имеющего возможности лично подписать вексель (по неграмотности, болезни, слепоте и т. п.) другим лицом по его просьбе, что должно быть удостоверено нотариаль-

რო ორგანოს ან სახალხო მოსამართლის მიერ.

**შენიშვნა 2.** თამასუქის დაწერის გასაადვილებლად ამასთანავე დართულია თამასუქების სანიმუშო ფორმები და გადაცემის წარწერების სანიმუშო ფორმები.

3. თამასუქით ფული გადახდილ უნდა იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ფარგალში სახმარებელ ვალიუტად.

საზღვარგარეთ უცხოეთის ვალიუტით დაწერილი და საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის ფარგალში გადასახდელი თამასუქის თანხა, აგრეთვე საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ფარგალში დაწერილი და საზღვარგარეთ გადასახდელი თამასუქის თანხა, უკეთუ თამასუქი გადასახდელათ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში იქნება წარდგენილი, გადატანილ უნდა იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში სახმარებელ ვალიუტაზე იმ კურსით, რაც იქნება გადახდის დღისათვის უახლოეს ოფიციალურ ბირჟაზე.

4. თამასუქით ფულის გადახდის ვადა უნდა იყოს მხოლოდ ერთად-ერთი მთელ თამასუქში აღნიშნული თანხისათვის და გამოიხატოს ერთ-ერთ შემდეგი ფორმით: ა) განსაზღვრულ დღეს—აღინიშნება წელიწადი, თვე და რიცხვი, ბ) ამა და ამ დროს თამასუქის შედგენიდან, გ) თამასუქის წარდგენისათანავე, დ) ამა თუ იმ დროს თამასუქის წარდგენიდან. უკეთუ თამასუქში ვადა დანიშნულია „წარდგენისათანავე“ ან „წარდგენიდან ამა თუ იმ დროს“, იგი გადასახდელათ წარდგენილ უნდა იქნეს ერთი წლის განმავლობაში დღიდან მისი შედგენისა, თუ თამასუქში საამისოდ ცალკე რამ არა იქნება რა ნათქვამი. თამასუქით, რომელშიაც ვადა დანიშნულია „წარდგენისათანავე“, ფული გადახდილ უნდა იქნეს წარდგენის დღეს.

5. უკეთუ თამასუქში გადახდის ადგილი აღნიშნულ არ არის, ასეთ ადგილად ჩაითვლება თამასუქის შედგენის ადგილი.

6. თამასუქის პირველ პატრონს უფლება აქვს თამასუქი სხვა პირს გადასცეს. თამასუქის ყოველ შემძენს უფლება აქვს თამასუქი კვლავ სხვას გადასცეს. თამასუქი შეიძლება გადაეცეს როგორც ერთს, ისე რამდენსამე შემძენს, ხოლო თამასუქში აღნიშნული თანხის დაუწილადებლად.

ным органом или Народным Судьей.

*Примечание 2-ое.* Для облегчения написания векселей прилагаются примерные формы векселей и передаточных надписей.

3. Платеж по векселю производится в имеющей хождение в пределах ССРГ валюте.

По векселям, писанным заграницей в иностранной валюте с платежом в пределах ССРГ, а равно по векселям, писанным в пределах ССРГ с платежом заграницей, пред'явленным к платежу в пределах ССРГ, вексельная сумма перевсдится на имеющую хождение в пределах ССРГ валюту по курсу ближайшей официальной биржи ко дню платежа.

5. Срок платежа по векселю может быть лишь одним для всей вексельной суммы и устанавливается одним из следующих способов: а) на определенный день с указанием года, месяца и числа, б) во столько-то времени от составления векселя, в) по пред'явлению, г) во столько-то времени по пред'явлении. Вексель, писанный сроком по пред'явлению или во столько-то времени по пред'явлении, должен быть пред'явлен к платежу в течение года со дня составления, если в векселе нет особых указаний по этому поводу. Вексель сроком по пред'явлению подлежит оплате в день пред'явления.

5. Если в векселе место платежа не указано, то им считается место составления векселя.

6. Первый векселедержатель вправе передать вексель другому лицу. Каждый приобретатель векселя имеет право дальнейшей передачи его. Вексель может быть передаваем как одному, так и нескольким приобретателям, но без дробления вексельной суммы.

7. Вексель передается по передаточной надписи, совершаемой на оборотной стороне векселя. Передаточная надпись должна содержать в себе подпись лица, передающего вексель, и может быть или именной, если в ней означен новый приобретатель, или бланковой, если в ней не

7. თამასუქი გადაიცემა გადაცემის წარწერით, რაც თამასუქს უნდა გაუკეთდეს უკანა გვერდზე. გადაცემის წარწერა უნდა შეიცავდეს თამასუქის გადამცემის ხელმონაწერს და შეიძლება იყოს სახელობითი, უკეთუ მასში ნაჩვენებია ახალი შემძენი, ან საბლანკო, უკეთუ იგი ნაჩვენები არ არის. უკანასკნელ შემთხვევაში თამასუქის ყოველ შემძენს უფლება აქვს გადასცეს იგი სხვა პირს ახალ წარწერის გაუკეთებლად, თამასუქის უბრალო ჩაბარებით.

**შენიშვნა.** წარწერის შესწორება შეიძლება, უკეთუ იგი სათანადოდ ალინიშნება და გადამცემი ხელს მოაწერს. გადაცემის წარწერა, მთლად ხაზგადასმული, მოსპობილად ჩაითვლება.

8. თამასუქის პატრონნს უფლება აქვს თამასუქის გადაცემის დროს გადაცემის წარწერას ჩაურთოს სიტყვები: „ჩემდა მოუქცევლად"-ო. უკეთუ ეს შენიშვნა ხაზგადასმულ იქნება, იგი მოსპობილად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, როდესაც წარწერის წაშლას ხელს მოაწერს შეუქცევლობის წარწერის თავდაპირველად გამკეთებელი.

9. ყველა ის პირნი, რომელნიც თამასუქს ხელს მოაწერენ ან გადაცემის წარწერას გაუკეთებენ, თამასუქის პატრონის წინაშე პასუხს აგებენ, როგორც ერთმანეთის თანაზიარი მოვალენი.

თამასუქის პატრონნს შეუძლიან მოთხოვნა წარუდგინოს ყოველ მათგანს ცალცალკე, მიუხედავად იმ თანდათანობისა, რომლითაც მათ ვალდებულება იკისრეს.

ასეთივე უფლება აქვს ყველა იმას, ვინც თამასუქით ვალდებულება იკისრა, ხოლო ფული კი გადაიხადა.

თამასუქის პატრონი, რომელიც განახორციელებს თავის მოთხოვნას ერთ-ერთი მოვალისადმი, არა ჰკარგავს უფლებას დანარჩენ მოვალეების მიმართ, აგრეთვე იმ პირების მიმართ, რომელნიც იმ პირს მისდევენ, ვისაც გადახდა პირველად მოეთხოვა.

10. თამასუქის ყოველ პატრონნს, მისი წინამოადგილის უფლების დამოუკიდებლად, აქვს ყველა ის უფლება, რაც თამასუქიდან გამომდინარეობს. გამონაკლისად ჩაითვლება მხოლოდ ისეთი შემთხვევა, როდესაც თამასუქი წინამოადგილეს ხელიდან წაჰსვლია მისდა უნებურად, და ეს გარემოება თამასუქის პატრონმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა,

сделано такого означения. В последнем случае каждый приобретатель векселя вправе передать его другому лицу без новой надписи простым вручением.

*Примечание.* Поправки в надписях допускаются с оговоркой их за надлежащей подписью передающего. Надпись о передаче, зачеркнутая в полном ее составе, считается уничтоженной.

8. Векселедержатель при передаче векселя вправе поместить в передаточной надписи оговорку „без оборота на меня". Если такая оговорка будет зачеркнута, то она считается уничтоженной в том лишь случае, когда об уничтожении ее сделана отметка за подписью лица, учинившего первоначально безоборотную надпись.

9. Все лица, подписавшие вексель и сделавшие на нем передаточные надписи, ответственны перед векселедержателем, как совокупные должники.

Векселедержатель может пред'явить требование каждому из них в отдельности, не будучи связан порядком последовательности, в которой они принимали на себя обязательство.

Такое же право принадлежит каждому обязанному по векселю, который оплатил его.

Осуществляя свое требование против одного из обязанных по векселю лиц, векселедержатель не теряет своих прав против обязанных, равно как против лиц, следующих за тем, кто первый привлечен к оплате.

10. Каждому векселедержателю, независимо от прав предшественника, принадлежат все права, вытекающие из векселя. Исключается лишь тот случай, когда вексель выбыл из владения последняго помимо его воли и векселедержатель об этом знал или должен был знать при обычной в торговом обороте предусмотрительности.

11. В случае неплатежа по векселю, пред'явленному к платежу, он должен быть опротестован векселедержателем в неплатеже порядком, указанным в ст. 12-ой.

12. Для совершения протеста векселедержатель должен пред'явить вексель в нотариальный орган, а в слу-

თუ კი ჩვეულებრივი ვაჭრული წინდახედულება ექნებოდა.

11. უკეთუ გადასახდელად წარდგენილი თამასუქით ფული გადახდილ არ იქნება, თამასუქის პატრონმა გადაუხდელობის პროტესტი უნდა მოახდინოს მე-12 მუხლში აღნიშნული წესისამებრ.

12. პროტესტის მოსახდენად თამასუქის პატრონმა თამასუქი უნდა წარუდგინოს სანოტარო ორგანოს, ხოლო, უკეთუ იმ ადგილას, სადაც გადახდა უნდა მომხდარიყო, ასეთი ორგანო არ არის,— სახალხო მოსამართლეს მეორე დღეს იმ ვადის გასვლისას, რა ვადაზედაც თამასუქის გამცემმა გადახდა იკისრა. იმავე დღეს სანოტარო ორგანომ ან სახალხო მოსამართლემ თამასუქით ვალდებულ პირებს პირადად ან წერილობით უნდა მოსთხოვოს გადახდა. უკეთუ მეორე დღის 3 საათამდე თამასუქით ფული არ იქნება გადახდილი, სანოტარო ორგანომ ან სახალხო მოსამართლემ იმავე დღეს უნდა მოახდინოს თამასუქის პროტესტი განსაკუთრებულ რეესტრში ჩაწერით და თვით თამასუქზე აღნიშვნით.

13. უკეთუ გადაუხდელობა დადასტურებულ იქნება პროტესტით მე-12 მუხლში აღნიშნული წესისამებრ, პასუხისმგებლობა თამასუქით განისაზღვრება მე-9 მუხლის თანახმად. წარმწერელი, რომელიც გადაცემის წარწერას პროტესტის შემდეგ გააკეთებს, ამა დებულების ძალით უკუქცევით პასუხს არ აგებს.

14. თამასუქის პატრონს, რომელიც პროტესტს მოახდენს, შეუძლიან მოსთხოვოს როგორც თამასუქის გამცემს, ისე წარმწერელს, თამასუქის გადაუხდელი თანხა და სარგებელი—6°/o წლიურად, აგრეთვე საურავი—3°/o წლიურად— გადახდის ვადის დღიდან ფულის გადახდის დღემდე;

ამას გარდა გასტუმრებულ უნდა იქნეს პროტესტის ხარჯი.

**შენიშვნა.** ზემოთაღნიშნული მოთხოვნა არ შეიძლება წარედგინოს იმ წარმწერელს, რომელმაც უკუქცევითი პასუხისმგებლობა თავიდან აიცილა მით, რომ თავისი ხელმონაწერის წინ ჩაურთო სიტყვები: „ჩემდა მოუქცევლად“.

15. უკეთუ ფულ-გადაუხდელ თამასუქს პროტესტი თავის დროზე არ ექნა, წარმწერელი განთავისუფლდება თამასუქით პასუხისმგებლობისაგან, თამასუქის პატრონს უფლება აქვს სამი წლის განმავლობაში მოსთხოვოს მას გადაუხ-

чае отсутствия таковаго в месте платежа,—Народному Судье, на следующий день после срока, в который векселедатель обязался уплатить по векселю. В тот же день нотариальный орган или судья пред'являет лично или письменно требование о платеже обязанным по векселю лицам, и, если до 3-х часов следующего дня платежа по векселю не поступит, нотариальный орган или Народный Судья в тот же день протестует вексель путем записи о протесте в особом реестре и отметки на самом векселе.

13. В случае неплатежа, удостоверенного протестом в порядке, указанном в ст. 12-ой, ответственность по векселю определяется по правилам ст. 9-ой. Надписатель, учинивший передаточную надпись после совершения протеста, не подлежит обратной ответственности в порядке сего Положения.

14. Векселедержатель, учинивший протест, может требовать как с векселедателя, так и с надписателей, неуплаченную вексельную сумму с процентами из расчета 6 процентов годовых и пеню в размере 3°/o годовых, считая со дня срока платежа по день удовлетворения.

Сверх того, взыскиваются связанные с протестом издержки.

*Примечание.* Приведенное требование не может быть пред'явлено к тому из надписателей, который отстранил от себя обратную ответственность помещением перед своей подписью: „без оборота на меня“.

15. Если неоплаченный вексель не был своевременно опротестован, то надписатели освобождаются от ответственности по векселю, но векселедатель остается ответственным по векселю и векселедержатель вправе требовать от него в течение трех лет неуплаченную сумму с процентами из расчета 6°/o годовых.

## ОТДЕЛ II.

### О переводных векселях.

16. Переводным векселем (траттой) называется письменное предложение

დელი თანხა და სარგებელი—6% წლიურად.

### კარი II.

### შეპირებული თამასუქი.

16. შეპირებული თამასუქი (ტრატტა) ეწოდება თამასუქის გამცემის (ტრასანტი) წერილობით წინადადებას მესამე პირისადმი (ტრასატი)—გადაუხადოს ფული თამასუქის პატრონს; ამასთანავე, უკეთუ ტრასატმა უარი სთქვა ამ წინადადების ასრულებაზე, ტრასანტი მოვალეა ეს ფული თამასუქის პატრონს თვით გადაუხადოს.

17. შეპირებულ თამასუქში, რათა მას თამასუქის ძალა არ დაეკარგოს, აუცილებლად აღნიშნულ უნდა იქნეს: 1) თამასუქის შედგენის ადგილი და დრო (წელიწადი, თვე და რიცხვი), 2) გასაცემი ვალდებულების სახელწოდება—სიტყვა „თამასუქი“—ან ამგვარივე მნიშვნელობის სიტყვა იმ ენაზე, რა ენაზედაც თვით ვალდებულებაა დაწერილი, 3) თამასუქით ფულის გადამხდელი (ტრასატი), 4) წინადადება გადამხდელისადმი—თამასუქით ფული გადაიხადოს, 5) ის პირი, ვისაც ფული უნდა გადაეხადოს, 6) გადასახდელი თანხა, რაც აღნიშნულ უნდა იყოს ოქროს მანეთობით, ან ჩერვონეცობით, ან ჩერვონეცობით სახელმწიფო ბანკის საბანკო ბილეთების სახით, ან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ფარგალში სახმარებელი ვალიუტით და რაც დაწერილ უნდა იყოს სიტყვებით, 7) გადახდის ვადა, 8) გადახდის ადგილი ან გადამხდელის საცხოვრებელი ადგილი, 9) თამასუქის გამცემის (ტრასანტის) ხელმონაწერი.

18. შეპირებული თამასუქი გადაიცემა იმ წესით, რაც მარტივი თამასუქისათვის არის დადგენილი, ხოლო შემდეგი დამატებით: გადაცემის წარწერა შეიძლება გაკეთდეს ტრასატის სახელზედაც, სულ ერთია აქცეპტჰყო მან ტრატტა თუ არა, თამასუქის გამცემის სახელზედაც და თამასუქით ვალდებულ ყველა სხვა პირზედაც. წარმწერელი, უკეთუ სხვა რამ არა იქნება რა ნათქვამი, პასუხს აგებს როგორც გადახდისათვის, ისე ტრატტის აქცეპტისათვის.

19. შეპირებული თამასუქი, გადახდის ვადის გასვლამდე, თამასუქის პატრონს ან ყველა იმას, ვის ხელშიც იგია, შეუძლიან წარუდგინოს ტრასატს აქცეპტისათვის იქ, სადაც იგი ცხოვრობს.

векселедателя (трассанта) третьему лицу (трассату) уплатить денежную сумму векселедержателю, соединенное с обязанностью трассанта в случае отказа трассата исполнить предложение, самому произвести платеж указанной денежной суммы векселедержателю.

17. Переводный вексель под страхом утраты вексельной силы должен непременно содержать в себе следующие указания: 1) означение места и времени (года, месяца и числа) составления векселя, 2) наименование выдаваемого обязательства словом „вексель“ или равнозначущими терминами на том же языке, на котором написано само обязательство, 3) наименование плательщика по векселю (трассата), 4) предложение плательщику произвести платеж по векселю, 5) означение лица, которому должен быть произведен платеж, 6) означение прописью подлежащей платежу суммы, выраженной в золотых рублях, червонцах или в червонцах банковыми билетами Госбанка, 7) означение срока платежа, 8) означение места платежа или места жительства плательщика, 9) подпись векселедателя (трассанта).

18. Передача переводных векселей производится по правилам, установленным для простых векселей, со следующими дополнениями: передаточная надпись может быть совершена и на трассата, независимо от того, принял ли он тратту или нет, на векселедателя и всякое другое обязанное по векселю лицо. Надписатель при отсутствии противоположной отметки отвечает как за платеж, так и за принятие тратты.

19. Переводный вексель до истечения срока платежа может быть пред‘явлен векселедержателем и каждым, в чьих руках находится, трассату по его местожительству для принятия (акцепта).

20. Векселедатель может предписать в векселе, чтобы он был пред‘явлен к принятию в течение определенного срока.

21. Векселедержатель не обязан оставлять в руках трассата пред‘явленный к принятию вексель. Трассат

20. თამასუქის გამცემს შეუძლიან აღნიშნოს თამასუქში, რომ თამასუქი სააქცეპტოდ წარდგენილ იქნეს განსაზღვრულ ვადის განმავლობაში.

21. თამასუქის პატრონი მოვალე არ არის ტრასატის ხელში დასტოვოს სააქცეპტოდ წარდგენილი თამასუქი, ტრასატს შეუძლიან მოითხოვოს, რომ თამასუქი აქცეპტისათვის კვლავ წარედგინოს მას პირველი წარდგენიდან ერთი დღის შემდეგ.

22. თამასუქის აქცეპტი აღნიშნულ უნდა იქნეს თამასუქზევე სიტყვით „აქცეპტქმნილია“, „მიღებულია“ ან სხვა ასეთივე მნიშვნელობის სიტყვით და ხელმოწერილ იქნეს ტრასატის მიერ. აქცეპტად შეიძლება ჩაითვალოს ტრასატის უბრალო ხელმონაწერიც თამასუქის პირველ გვერდზე.

უკეთუ თამასუქში აღნიშნულია, რომ ფული გადახდილ უნდა იქნეს განსაზღვრულ ვადაზე თამასუქის წარდგენის წამიდან, ან თამასუქში სპეციალურად აღნიშნულია, რომ იგი სააქცეპტოდ წარდგენილ უნდა იქნეს განსაზღვრულ ვადაზე, აქცეპტის წარწერაში უნდა აღინიშნოს ის დღეც, როდესაც აქცეპტი მოხდა.

23. აქცეპტი უნდა იყოს უპირობო; იგი მხოლოდ ზეიძლება შემოისაზღვროს თამასუქის ამა თუ იმ ნაწილით.

თამასუქის აქცეპტის წარწერაში თამასუქის შინაარსისათვის სხვა-რამ-გვარად გზის აცცევა აქცეპტის უარყოფად ჩაითვლება. ყოველ შემთხვევაში, ტრასატი, რომელიც ასეთ წარწერას გააკეთებს, პასუხს აგებს წარწერისამებრ.

24. თამასუქის აქცეპტით ტრასატი ვალდებულია ფული ვადაზე გადაიხადოს. უკეთუ ფული არ იქნება გადახდილი, თამასუქის პატრონს, თუნდაც იგი თამასუქის გამცემიც იყოს, უფლება აქვს მოთხოვნა უშუალოდ ტრასატს წარუდგინოს.

25. ტრასატს, რომელიც თამასუქის თანხას გადაიხდის, შეუძლიან თამასუქის პატრონს მოთხოვოს თამასუქი, რომლითაც ფული გადახდილია. თამასუქის პატრონს არ შეუძლიან უარი სთქვას თამასუქის თანხის ნაწილობრივად მიღებაზე; უკეთუ ფული ნაწილობრივად იქნება გადახდილი, ტრასატს შეუძლიან მოითხოვოს, რომ თამასუქს სათანადო შენიშვნა გაუკეთდეს, თანაც მას ბარათი მიეცეს.

26. უკეთუ ტრასატი უარს იტყვის

может потребовать, чтобы вексель для учинения акцепта был ему вновь пред'явлен через день после первого пред'явления.

22. Принятие векселя отмечается на нем словами: „принят", „акцептован" или др. однозначущим выражением и должно быть подписано трассатом. Простая подпись трассата на лицевой стороне векселя может считаться принятием.

Если вексель выписан на определенный срок по пред'явлении или он должен, согласно специальной оговорки, быть пред'явлен к принятию в определенный срок, то в надписи о принятии должен быть указан и день, в который последовало принятие.

23. Принятие должно быть безусловно; оно может быть, однако, ограничено частью вексельной суммы.

Всякое другое сделанное в надписи о принятии отклонение от содержания векселя считается отказом в принятии. Однако, сделавший такую надпись трассат отвечает по содержанию сделанной им надписи.

24. Принятие векселя обязывает трассата оплатить его в срок платежа. В случае неуплаты векселедержатель, если он даже является векселедателем, получает право требования по векселю непосредственно к трассату.

25. Трассат, уплативший вексельную сумму, может требовать от векселедержателя вручения оплаченного векселя. Векселедержатель не может отказаться от частичного платежа и в этом случае трассат может требовать соответствующей отметки на векселе и выдачи ему расписки.

26. Если трассат откажется принять вексель, то векселедержатель может, не выжидая срока платежа, пред'явить обратное требование к надписателям, векселедателю и др. обязанным по векселю лицам.

27. Отказ в принятии должен быть засвидетельствован установленным порядком протеста (ст. 12).

Протест в непринятии должен быть совершен в течение срока, назначенного для пред'явления векселя к принятию. Если вексель пред'является

თამასუქის აქცეპტზე, თამასუქის პატრონს შეუძლიან გადახდის ვადამდე მოთხოვნა უკუქცევით წარუდგინოს წარმწერელს, თამასუქის გამცემს და თამასუქით ვალდებულ სხვა პირს.

27. უარი თამასუქის აქცეპტზე შემოწმებულ უნდა იქნეს პროტესტისათვის დადგენილი წესით (მუხ. 12).

აქცეპტზე უარის თქმის პროტესტი უნდა მოხდეს თამასუქის სააქცეპტოდ წარდგენისათვის დანიშნული ვადის განმავლობაში. უკეთუ თამასუქი წარდგენილია პირველად ვადის უკანასკნელ დღეს, პროტესტი შეიძლება მეორე დღეს მოხდეს.

უკეთუ აქცეპტზე უარის თქმის პროტესტი მოხდა, საჭირო აღარ არის, რაც შეეხება ტრასატს, თამასუქის მისთვის გადასახდელად წარდგენა და არც გადაუხდელობის პროტესტი.

28. პროტესტის შემდეგ, სამი დღის განმავლობაში, თამასუქის პატრონმა უნდა შეატყობინოს თავის უშუალო წინამოადგილეს და თამასუქის გამცემს, რომ აქცეპტი არ მოხდა, ან ფული არ იქნა გადახდილი. შეტყობინება წერილობითი უნდა იყოს.

29. შეპირებული თამასუქი შეიძლება, პირველი შემძენის მოთხოვნით, შედგენილ იქნეს რამდენიმე ცალად ერთი და იგივე შინაარსისა; თვითეულ ამ ცალს ნიმუში ეწოდება. თვითეულის ნიმუშის ტექსტში აღნიშნულ უნდა იქნეს, რომელია იგი რიგით (პირველი, მეორე, მესამე და სხვ.). წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველი ნიმუში ცალკე თამასუქად ჩაითვლება.

30. უკეთუ ფული გადახდილი იქნა თამასუქის ერთ-ერთი ნიმუშით, დანარჩენი ნიმუშები ძალას დაჰკარგავს.

31. იმ ნიმუშის პატრონს, რომელზედაც უკვე არის სათამასუქო წარწერები, უფლება აქვს უკუქცევითი მოთხოვნა წარუდგინოს თამასუქით ვალდებულ პირს, უკეთუ პროტესტით დაადასტურებს: ა) რომ აქცეპტისათვის გაგზავნილი ნიმუში არ გადაუცია მისთვის იმ პირს, ვისთანაც იგი შესანახად იქნა დატოვებული და ბ) რომ ის ნიმუში, რომელიც მას ხელთა აქვს, არც აქცეპტმნილია და არც ფულგადახდილია.

### კ ა რ ი III.

**თამასუქის ხანდაზმულობა.**

32. პროტესტქმნილი თამასუქის გამო თამასუქის პატრონს შეუძლია სარჩელი

в первый раз в последний день этого срока, то протест можно совершить еще на следующий день.

Если совершен протест в непринятии, то по отношению к трассату уже не требуется ни пред'явления к платежу, ни протеста в неплатеже.

28. Векселедержатель должен уведомить своего непосредственного предшественника и векселедателя о несостоявшемся принятии или о неплатеже в течение 3-х дней следующих за днем протеста. Уведомление должно последовать в письменной форме.

29. Переводный вексель может быть составлен, по требованию первого приобретателя, в нескольких экземплярах одинакового содержания, именуемых образцами. В тексте каждого из них должно быть обозначено, который он по счету (первый, второй, третий и т. п.). В противном случае каждый образец считается самостоятельным векселем.

30. Если платеж производится по одному из нескольких образцов векселя, то остальные теряют силу.

31. Держатель образца, на котором уже значатся вексельные надписи, имеет право обратного требования к обязанным по векселю лицам, если удостоверит протестом: а) что отправленный для принятия образец не был выдан лицом, у которого он был оставлен на хранение, и б) что по находящемуся у него образцу ни принятия, ни платежа не последовало.

### ОТДЕЛ III.

**О вексельной давности.**

32. Иск по протестованному векселю может быть пред'явлен векселедержателем к векселедателю простого векселя и к акцептанту переводного в течение 3-х лет со дня наступления срока платежа по векселю, к надписателям как простого, так и переводного векселя – в течение 9 месяцев со дня учинения протеста в неплатеже, к трассанту же и надписателям непринятого переводного векселя—в течение 9 месяцев со дня учинения протеста в непринятии.

33. Надписатель, коим вексель оп-

აღძრას: მარტივი თამასუქის გამცემის და შეპირებული თამასუქის გამცემის და შეპირებული თამასუქის აქცეპტანტის წინააღმდეგ—სამი წლის განმავლობაში თამასუქით ფულის გადახდის ვადის დადგომის დღიდან; როგორც მარტივი, ისე შეპირებული თამასუქის წარმწერელის წინააღმდეგ—ცხრა თვის განმავლობაში გადაუხდელობის პროტესტის დღიდან; იმ შეპირებული თამასუქის ტრასანტისა და წარმწერელის წინააღმდეგ, რომლის აქცეპტიც უარყოფილ იქნა,—ცხრა თვის განმავლობაში აქცეპტზე უარის თქმის პროტესტის დღიდან.

33. წარმწერელს, რომელიც თამასუქით ფულს გადაიხდის, შეუძლიან წინა წარმწერელების წინააღმდეგ სარჩელი აღძრას ექვსი თვის განმავლობაში თამასუქით ფულის გადახდის დღიდან.

წარმწერელთა შორის სარჩელის აღძვრა არ შეიძლება, უკეთუ თამასუქით ფულის გადახდის ვადის დადგომის დღიდან განვლო სამმა წელიწადმა.

лачен, может пред‘явить иск к предшествующим надписателям в течение 6 месяцев со дня оплаты им векселя. По истечении 3-лет со дня наступления срока платежа по векселю пред‘явление исков между надписателями не допускается.

## 29. დადგენილება № 114

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა**

**სისხლის სამართლის კოდექსისათვის $228^1$ მუხლის დამატების შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს $228^1$ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„წითელი ან შრომის დროშის ორდენის ტარება იმ პირის მიერ, რომელსაც ამის უფლება არა აქვს, დაისჯება ჯარიმით 100 მანეთამდე ოქროთი, თანაც ჩამოერთმევა ორდენი და გამოეცხადება საზოგადოებრივი გაკიცხვა, რაც მსჯავრდადებულის ხარჯზე გამოქვეყნებულ იქნება პრესაში“.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1924 წ. ნოემბრის 6.

ტფილისი—სასახლე.

## 29. Постановление № 114

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов**

**О включении в Уголовный Кодекс ст. $228^1$.**

Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет Советов постановляет:

Включить в Уголовный Кодекс нижеследующую ст. $228^1$—

„Ношение ордена Красного или Трудового Знамени лицами, не имеющими на то право, карается—штрафом до 100 рублей золотом с конфискацией ордена и общественным порицанием, о чем публикуется в печати за счет осужденного“.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *М. Цхакая.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1924 г. ноября 6.
Тифлис—Дворец.

## 30. დადგენილება № 115

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა**

**ამნისტიის შესახებ.**

დიდი ოქტომბრის რევოლიუციის 7 წლის თავის აღსანიშნავად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. განთავისუფლებულ იქნან სასჯელის ყველა შედეგითურთ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მოქალაქენი, რომელნიც სასამართლო დაწესებულებისა ან საგანგებო კომისიისა და ადმინისტრატიული ორგანოების განაჩენით თუ დადგენილებით მსჯავრდადებულ არიან, აგრეთვე ისინიც, ვისი საქმე გამოძიებაშია ა|წ აგვისტოს მომხდარ გამოსვლაში მომზადების და მონაწილეობისათვის, უკეთუ ამა დანაშაულის ჩადენის დროს ისინი არ იყვნენ ინიციატორები, ორგანიზატორები და ხელმძღვანელები.

**შენიშვნა.** ამ მუხლის წესი გავრცელდეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის იმ მოქალაქეებზედაც, რომელნიც ამ ჟამად ემალებიან ხელისუფლებას, უკეთუ აღნიშნულნი პირნი 15 დღის განმავლობაში ამა დადგენილების გამოქვეყნებიდან გულწრფელად აღიარებენ, რომ მზად არიან დაუბრუნდნენ მშვიდობიან შრომას და ყოველგვარი კავშირი გასწყვიტონ იმ პირებთან, ვინც კვლავ სცდილობს განაგრძოს თავისი დანაშაულებრივი მოქმედება მუშის და გლეხის ხელისუფლების წინააღმდეგ.

2. იმ პირთ, ვისაც ამა დადგენილების გამოცემის დღემდე ჩადენილი დანაშაულისათვის გადაწყვეტილი აქვთ უმაღლესი სასჯელი, ეს სასჯელი შეეცვალოს თავისუფლების აღკვეთით ათი წლის სასტიკი იზოლაციით.

3. სრულიად განთავისუფლებულ იქნენ სასჯელის შემდგომი მოხდისაგან სასჯელის ყველა შედეგითურთ (გარდა ქონებრივი გადასახდელისა) ის პირნი, რომელთაც ა|წ ნოემბრის 7-მდე ჩადენილი დანაშაულისათვის მისჯილი აქვთ თავისუფლების პირობითი აღკვეთა (ვადის მიუხედავად) ან თავისუფლების აღკვეთა—ვადით ერთ წლამდე—თანჩართვით, ან და მისჯილი აქვთ სისხლის სა

## 30. Постановление № 115

**Президиума Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов**

**Об амнистии.**

В ознаменование 7-ой годовщины Великой Октябрьской революции Президиум Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов постановляет:

1. Освободить от дальнейшего отбытия наказания со всеми его последствиями граждан ССРГ, кои приговором и постановлением судебных учреждений, органов Чрезвычайной Комиссии и административных осуждены или дела коих находятся в стадии следствия за подготовку и участие в выступлениях, имеющих место в августе с. г., если эти граждане не являлись инициаторами, организаторами или руководителями при совершении означенных преступлений.

*Примечание.* Настоящая статья распространяется на тех граждан ССРГ, кои в настоящее время скрываются от преследований властей, если они в 15-ти дневный срок со дня опубликования настоящего постановления выразят свою искреннюю готовность возвратиться к мирному труду и порвать всякую связь с лицами и организациями, пытающимися продолжать свою преступную деятельность против власти рабочих и крестьян Грузии.

2. Приговоренным к высшей мере наказания за преступления, совершенные по день издания настоящего постановления, означенное наказание заменить лишением свободы сроком на 10 лет со строгой изоляцией.

3. Освободить вовсе от дальнейшего отбытия наказания со всеми его последствиями (за исключением имущественных взысканий) лиц, приговоренных за преступления, совершенные до 7-го ноября с. г., к условному лишению свободы (независимо от

მართლის კოდექსის 32 მუხ. „გ“, „დ“, „ე“, „თ“ და „ი“ პუნქ. აღნიშნული სასჯელი და აგრეთვე ადმინისტრატიული სასჯელი.

**შენიშვნა 1.** ამა მუხლის წესები არ გავრცელდება ქონების კონფისკაციაზე და ფულად ჯარიმაზე, რაც ამა დადგენილების გამოცემის დღემდე მოყვანილი იქნება სისრულეში.

4. მოსპობილ იქნეს შემდგომი წარმოება იმ საქმეებისა, რომელიც წინასწარი წარმოების სტადიაშია და რომელიც აღძრულია ისეთი დანაშაულის გამო, რისთვისაც სისხლის სამართლის კოდექსით სასჯელად განსაზღვრულია თავისუფლების აღკვეთა ერთ წელიწადზე არა უმეტესი ვადით.

**შენიშვნა.** ეს მუხლი არ გავრცელდება ისეთ საქმეზე, რომელიც აღიძვრის კერძო ბრალდების წესისამებრ (სისხლის სამართლის კოდექსის 157 მუხ. 1 ნაწ. და 161, 177, 180, 181 და 182 მუხ.).

5. იმ პირთ, რომელთაც ა/წ. ნოემბრის 7-დე ჩადენილი დანაშაულისათვის მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა ერთ წელიწადზე მეტი ვადით, სასჯელის მოუხდელი ნაწილის ვადა გაუნახევრდეთ.

6. ამა დადგენილების 2—5 მუხ. აღნიშნული შეღავათი არ გავრცელდება სისხლის სამართლის კოდექსის პირველი კარის პირველ თავში გათვალისწინებულ დანაშაულზე, რომელზედაც გავრცელდება მხოლოდ ამა დადგენილების 1—2 მუხ. აღნიშნული წესები.

7. ამა დადგენილების 3—5 მუხ. აღნიშნული შეღავათი არ გავრცელდება რეციდივისტებზე და იმ დანაშაულზე, რაც აღნიშნულია სისხლის სამართლის კოდექსის 86 მუხ. და 100 მუხ. მეორე ნაწ., 113 მუხ., 116 მუხ. მეორე ნაწ., 117, $117^1$, 118, 134, 136, 146 და 147 მუხ., აგრეთვე ოთხფეხი საქონლის ქურდობაზე, რაც გათვალისწინებულია 187 მუხ. „გ“ პუნქ., $187^1$ მუხ. და 191 მუხ. მეორე ნაწილში.

8. ამა დადგენილების შეფარდება დაეკისროს განსაკუთრებულ კომისიებს, რომელთა შედგენილობას განსაზღვრავს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი თავისი დადგენილებით.

9. საერთო მეთვალყურეობა ამა დადგენილების სისრულეში მოყვანისათვის

срока), к лишению свободы на срок до одного года включительно или к одному из наказаний, означенных в пунктах „в“, „г“, „д“, „з“ и „и“ ст. 32 Уголовного кодекса, а равно к административным взысканиям.

*Примечание*. Означенная статья не распространяется на конфискацию имущества и денежный штраф, приведенные уже в исполнение ко дню издания настоящего постановления.

4. Прекратить дальнейшим производством дела, находящиеся в стадии предварительного следствия по преступлениям, по коим в уголовном кодексе определено наказание не свыше одного года лишения свободы.

*Примечание*. Эта статья не распространяется на дела, возникшие в порядке частного обвинения (ст. ст. 157, I ч. 161, 177, 178, 180, 181 и 182 Уголовного кодекса).

5. Лицам, приговоренным к лишению свободы на срок свыше одного года за преступления, совершенные до 7 ноября с. г., срок неотбытой еще части наказания сократить на половину.

6. Льготы, означенные в пун. 2—5 настоящего постановления, не распространяются на преступления, означенные в разд. 1 гл. 1-ой Уголовного кодекса, в отношении коих действуют лишь правила, указанные в пун. 1-ом настоящего постановления.

7. Льготы, означенные в п.п. 3—5 настоящего постановления, не распространяются на рецидивистов и на преступления, означенные в ст. ст. 86, 2 ч. 100, 113, 2 ч. 116, 117, $117^1$, 118, 134, 136, 146, 147, к краже скота, предусмотренной в п. „в“ ст. 187, $187^1$, 2 ч. 191 Уг. код.

8. Применение настоящего постановления возложить на особые комиссии, состав коих определяется постановлением ЦИК-а.

9. Общее наблюдение за проведением в жизнь настоящего постановления возложить на прокурора республики, коему выработать соответствующую инструкцию.

დაეკისროს რესპუბლიკის პროკურორს, რომელმაც უნდა შეიმუშაოს სათანადო ინსტრუქცია.

10. დადგენილება ესე გადაცემულ იქნეს ტელეგრაფით.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1924 წ. ნოემბრის 6.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-256 №-ში 1924 წ. ნოემბრის 7.

10. Настоящее постановление вводится в жизнь по телеграфу.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *М. Цхакая.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1924 г. ноября 6.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в г. „Коммунист" № 256 от 7 ноября 1924 г.

## 31. დადგენილება № 116

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა**

**ამნისტიის შემფარდებელი კომისიების შედგენის შესახებ.**

თანახმად ა. წ. ნოემბრის 6 № 115 დადგენილების მე-8 მუხლისა სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

ამნისტიის შესახებ დადგენილების შესაფარდებლად რესპუბლიკის პროკურორის ინსტრუქციის წესისამებრ შედგენილ იქნეს კომისიები:

1. ქ. ტფილისში შემდეგი შედგენილობით: ამხ. ვ. სტურუა (თავმჯდომარე), ნ. ოკუჯავა, ლ. ბერია, ა. ურუშაძე, ლორთქიფანიძე და მასხულია.
2. ქ. ქუთაისში—ამხ. ლორთქიფანიძე (თავმჯდომარე), კუჭუხიძე, რთველაძე გაბუნია და თათეიშვილი.
3. მაზრებში—აღმასკომის თავმჯდომარე (თავმჯდომარე), პოლიტბიუროს უფროსი და სახალხო მოსამართლე.
4. აფხაზეთის მოკავშირე რესპუბლიკაში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში კომისიები შესდგება სათანადო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებისამებრ შემდეგი შედგენილობით: ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ერთი წევრი, საგან-

## 31. Постановление № 116

**Президиума Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов**

**Об образовании Комиссий по применению Постановления об Амнистии.**

Согласно п. 8 Постановления от 6 ноября с. г. за № 115 Президиум Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов постановляет:

Для применения Постановления об амнистии в порядке, определяемом Инструкцией Прокурора Республики, образовать Комиссии:

1. В гор. Тифлисе в составе: т. т. В. Стуруа (Председатель), Н. Окуджава, Л. Бериа, А. Урушадзе, Лордкипанидзе и Масхулия.
2. В гор. Кутаисе в составе: т. т. Д. Лордкипанидзе (Председатель), Кучухидзе, Ртвеладзе, Габуния и Татейшвили.
3. В уездах в составе: Предисполкома (Председатель), Начполитбюро и Нарсудьи.
4. В договорной Республике Абхазии, в Автономной Республике Аджарии и в Автономной Области Юго-Осетии Комиссии образуются постановлениями подлежащих ЦИК-ов в

გებო კომისიის თავმჯდომარე და იუს-ტიციის სახალხო კომისარი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტე-ტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტე-ტის მდივანი **ს. თოდრია.**

1924 წ. ნოემბრის 10.

ტფილისი—სასახლე.

составе: одного Члена ЦИК-а, Пред-чека и Наркомюста.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Мих. Цхакая.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1924 г. ноября 10.
Тифлис—Дворец.

## 32 დადგენილება № 117

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენ-ტრალური აღმასრულებელი კომიტე-ტისა**

**ადგილობრივი შემოსავლის გასაძლიე-რებლად სახელმწიფო გადასახადსა და გამოსაღებზე დაწესებულ ზედნართის გადიდების შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცე-ნტრალური აღმასრულებელი კომიტეტი თანახმად ადგილობრივი ფინანსების შე-სახებ არსებულ დებულებისა მუხ. 37 და შესაცვლელად 1924 წლ. 21 ივლისის № 102 დადგენილების 1-ლი და მე-2 მუხლებისა ადგენს:

ნება მიეცეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამაზრო (ქალაქების) აღმა-სრულებელ კომიტეტებს 1924 წლ. 1-ლ ოქტომბრიდან აიღონ ზედნართი:

1. სახელმწიფო სარეწავ გადასახადზე როგორც ძირითადზე, ისე დამატები-თზე—სარეწავ მოწმობის ფასის 100 პროცენტი.

2. სათანაბრო გამოსაღებზე—გამოსა-ღების შენაწერის 100 პროცენტი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტე-ტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტე-ტის მდივანი **ს. თოდრია.**

1924 წ. ნოემბრის 13.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-265 №-ში 1924 წ. ნოემბრის 20.

## 32. Постановление № 117

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов**

**Об увеличении размера надбавок к государственным налогам и сборам, установленных для усиления местных средств.**

Согласно 37 ст. Положения о местных финансах и во изменение ст. ст. 1 и 2 Постановления своего от 21 Июля 1924 г. за № 102, Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет Советов постановляет:

Предоставить уездным (городским) Исполнительным Комитетам С.С.Р.Г. начиная с 1 Октября 1924 г. взимать надбавку:

1) к государственному промысловому налогу как основному, так и дополнительному в размере 100% с цены промыслового свидетельства;

2) к уравнительному сбору в размере 100% оклада сбора.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Мих. Цхакая.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1924 г. ноября 13.
Тифлис—Дворец.

Распубликованно в газ. „Коммунист“ № 265 от 20 ноября 1924 г.

## 33. დადგენილება № 118

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა**

**სისხლის სამართლის კოდექსის 211, 211[1] და 211[2] მუხლის შეცვლის შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

სისხლის სამართლის კოდექსის 211, 211[1] და 211[2] მუხლის ის ნაწილები, რაც შეეხება ქონების კონფისკაციით დასჯას, შეიცვალოს შემდეგნაირად:

მუხ. 211 პუნ. „ა": „სავალდებულო კონფისკაციით ქონების ნაწილისა საერთო ღირებულებით არა უმეტეს 300 მანეთისა ოქროთი";

პუნ. „ბ": სავალდებულო კონფისკაციით ქონების ნაწილისა საერთო ღირებულებით არა უმეტეს 500 მანეთისა ოქროთი";

მუხ. 211[1]: „სავალდებულო კონფისკაციით ქონების ნაწილისა საერთო ღირებულებით არა უმეტეს 700 მანეთისა ოქროთი";

მუხ. 211[2]: „სავალდებულო კონფისკაციით ქონების ნაწილისა საერთო ღირებულებით არა უმეტეს 1000 მანეთისა ოქროთი".

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1924 წ. ნოემბრის 14.
ტფილისი—სასახლე.

## 33. Постановление № 118

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов**

**Об изменениях в ст. ст. 211, 211[1] и 211[2] Уголовного Кодекса.**

Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет Советов постановляет:

Ст. ст. 211, 211[1] и 211[2] Уголовного Кодекса в части, касающейся наказания конфискацией имущества, изменить следующим образом:

Ст. 211 п. „а": „с обязательной конфискацией части имущества в общей сумме не свыше 300 рублей золотом".

п. „б": „с обязательной конфискацией части имущества в общей сумме не свыше 500 рублей золотом".

Ст. 211[1]: „с обязательной конфискацией части имущества в общей сумме не свыше 700 рублей золотом".

Ст. 211[2]: „с обязательной конфискацией части имущества в общей сумме не свыше 1000 рублей золотом".

Председатель Всегрузин. Центр. Исп. Комитет Советов *Мих. Цхакая.*
Секретарь Всегрузинского Центр. Испол. Комита *С. Тодрия.*

1924 г. ноября 14.
Тифлис—Дворец.

## 34. დადგენილება № 119

05-01-07

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა**

**კერძო პირთა და საზოგადოებათა ქონების რეკვიზიციისა და კონფისკაციის წესის დებულების (სამოქ. სამართ. კოდ. 69 და 70 მუხ. დანართი) მე-11 მუხლის ქართული რედაქციის შეცვლის შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

კერძო პირთა და საზოგადოებათა ქო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნების რეკვიზიციისა და კონფისკაციის წესის დებულების (სამოქ. სამართ. კოდექ. 69 და 70 მუხ. დანართი) მე-11 მუხლის ქართული რედაქცია შეიცვალოს შემდეგნაირად:

„კვებისა, პირველი მოთხოვნილებისა და სოფლის მეურნეობის საგნები, რის კონფისკაციაც მოხდება სასამართლოს და საადმინისტრაციო წესით, აგრეთვე რაც უპატრონო ქონებაში აღმოჩნდება, უნდა ჩაირიცხოს უზრუნველყოფის ნატურალურ ფონდში; ამასთანავე აქციზგადაუხდელი საგნები გადაეცემა სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს მას შემდეგ, როდესაც იგი გადაიხდის აქციზს იმ განაკვეთით, რაც იქნება გადაცემის დროს.

ყველა დანარჩენი კონფისკაციაქმნილი ქონება გადადის საერთო წესით იმ ორგანოს განკარგულებაში, რომელიც განაგებს ასეთი ქონების გამოყენების საქმეს“.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ხ. თოდრია.**

1924 წ. ნოემბრის 14.

ტფილისი—სახახლე.

---

## 35. დადგენილება № 120

### სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

### ვ. ი. ლენინის ჟეტონის ტარების წესის შესახებ გამოცემული დადგენილების გასაუქმებლად.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

გაუქმებულ იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ ამა 1924 წ. ოქტომბრის 31-ს თარიღითა და 4 №-ით გამოცემული სავალდებულო დადგენილება (გამოქვეყნებულია გაზ. „ზარია ვოსტოკა-“ს 726 №-ში 1924 წ. ნოემბრის 13-ს და „კომუნისტი“-ს 259

## 35. Постановление № 120

### Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов

### Об отмене постановления о порядке ношения жетона Вл. И. Ленина.

Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет Советов постановляет:

Обязательное постановление Народного Комиссариата Внутренних Дел ССРГ от 31 октября 1924 года за № 4 („Заря Востока“ № 726 от 13 ноября 1924 г. и „Коммунист“ № 259 от 13-XI-24 г.), о порядке ноше-

№-ში 1924 წ. ნოემბრის 13-ს) ვლ. ილ. ლენინის ჟეტონის ტარების წესის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1924 წ. ნოემბრის 18.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“-ს მე-268 №-ში 1924 წ. ნოემბრის 23.

## 36. დადგენილება № 121

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა**

**ავადმყოფ და დაჭრილ წითელარმიელთა, ომის ინვალიდთა და დემობილიზაციით განთავისუფლებულთა დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს: დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება ავადმყოფ და დაჭრილ წითელარმიელთა, ომის ინვალიდთა და დემობილიზაციით განთავისუფლებულთა დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1924 წ. ნოემრის 18.
ტფილისი—სასახლე.

## დებულება

**ავადმყოფ და დაჭრილ წითელარმიელთა, ომის ინვალიდთა და დემობილიზაციით განთავისუფლებულთა დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტისა.**

I.

**კომიტეტის ძირითადი მიზნები.**

1. ავადმყოფ და დაჭრილ წითელარმიელთა, ომის ინვალიდთა და დემო-

ния жетона Вл. И. Ленина—отменить.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Мих. Цхакая.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1924 г. ноября 18.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в газ. „Коммунист“ № 268 от 23 ноября 1924 г.

## 36. Постановление № 121

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов**

**Об утверждении Положения о Всегрузинском Комитете помощи больным и раненым красноармейцам, инвалидам войны и демобилизованным.**

Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет Советов постановляет: утвердить прилагаемое к настоящему постановлению Положение о всегрузинском Комитете помощи больным и раненым красноармейцам, инвалидам войны и демобилизованным (Всегрузкомпом).

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Мих. Цхакая.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1924 г. ноября 18.
Тифлис—Дворец.

## ПОЛОЖЕНИЕ

**о Всегрузинском Комитете помощи больным и раненным красноармейцам, инвалидам войны и демобилизованным (Всегрузкомпом).**

I.

**Основные задачи Комитета.**

1. Всегрузинский Комитет помощи больным и раненным красноармейцам, инвалидам войны и демобилизован-

ბილიზაციით განთავისუფლებულთა დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტი არის საბჭოთა საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომლის მიზანია იზრუნოს ავადმყოფ და დაჭრილ წითელარმიელებზე, ომის ინვალიდებზე (პირველ რიგში სამოქალაქო ომის ინვალიდებზე), დემობილიზაციით განთავისუფლებულებზე და მათ ოჯახებზე.

2. ინვალიდთა დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტის ძირითად მიზანს შეადგენს:

ა) ჩაბაბას მშრომელთა ფართო მასები და მათი ორგანიზაციები, აგრეთვე მოსახლეობის სხვა წრეები ავადმყოფ და დაჭრილ წითელარმიელთა, ომის ინვალიდთა, დემობილიზაციით განთავისუფლებულთა და მათ ოჯახთა დახმარების საქმეში შემოწირულებისა და გამოსაღების შეკრეფით და საკუთარ შემოსავლიან საწარმოთა შემოსავლის ანარიცხით;

ბ) ჩაბაბას მშრომელთა ფართო მასები და მათი ორგანიზაციები რეგულიარულ უშუალო მუშაობაში ავადმყოფ და დაჭრილ წითელარმიელთა, ომის ინვალიდთა (პირველ რიგში სამოქალაქო ომის), დემობილიზაციით განთავისუფლებულთა და მათ ოჯახთათვის ამა თუ იმ სამსახურის გასაწევად;

გ) კონტროლი გაუწიოს ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატების სათანადო დაწესებულებას, რათა მიაქციოს მათი ყურადღება შემჩნეულ ნაკლსა და შეცდომებზე ისე კი, რომ არა აქვს უფლება რაიმე უშუალო განკარგულება მოახდინოს ამ დაწესებულებებში.

3. დასახული მიზნის მისაღწევად ინვალიდთა დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტი და მისი ორგანოები:

ა) აწარმოებენ აგიტაციას, როგორც მშრომელ ფართო მასაში და ორგანიზაციებში, აგრეთვე მოსახლეობის სხვა წრეებში ავადმყოფ და დაჭრილ წითელარმიელთა, ომის ინვალიდთა და დემობილიზაციით განთავისუფლებულთა დახმარებისათვის;

ბ) მოაწყობენ სისტემატიურად და ერთდროულად შემოწირულებისა, ანარიცხისა, თვითდაბეგვრისა და სხვა წესით გამოსაღების შეკრეფას დახმარების საქმისათვის;

გ) განახორციელებენ საბჭოთა საზოგადოებრივი ძალების უშუალო მონაწი-

ным (Всегрузкомпом) есть Советская общественная организация, имеющая своей целью заботу о больных и раненных красноармейцах, инвалидах войны (в первую очередь гражданской), демобилизованных и их семействах.

2. Всегрузкомпом имеет основной задачей:

а) привлечение широких масс трудящихся и их организаций, а равно и других слоев населения к делу помощи больным и раненным красноармейцам, инвалидам войны, демобилизованным и их семьям, путем пожертвований, сборов и отчислений с собственных доходных предприятий;

б) привлечение широких масс трудящихся и их организаций к регулярной, непосредственной работе по обслуживанию больных и раненных красноармейцев, инвалидов войны (в первую очередь гражданской), демобилизованных и их семейств;

в) контроль над подлежащими учреждениями НКЗдрава и НКСобеса (без права непосредственных распоряжений в этих учреждениях) с целью обращения внимания НКЗдрава и Собеса на замеченные недостатки и упущения.

3. Для достижения означенных целей Всегрузкомпом и его органы:

а) ведут агитацию среди широких масс трудящихся и их организаций, равно как и других слоев населения за оказание помощи больным и раненным красноармейцам, инвалидам войны и демобилизованным;

б) организуют систематические и единовременные сборы на дело помощи в порядке пожертвований, отчислений, самообложений и пр.;

в) организуют участие советских общественных сил в непосредственной работе по обслуживанию больных и раненных красноармейцев, инвалидов войны, демобилизованных и их семейств;

г) организуют контроль над подлежащими учреждениями НКЗдрава и НКСобеса путем обследования через должностных лиц или же путем образования специальных комиссий;

д) оказывают содействие органам власти в постановке лечения и удо-

ლეობას ავადმყოფ და დაჭრილ წითელარმიელთა, ომის ინვალიდთა, დემობილიზაციით განთავისუფლებულთა და მათ ოჯახთათვის სხვა და სხვა სამსახურის გასაწევათ წარმოებულ მუშაობაში;

დ) გაუწევენ კონტროლს ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატების სითანადო დაწესებულებათ, რისთვისაც გამოიკვლევენ მათ მოქმედებას თანამდებობის პირთა ან სპეციალური კომისიების მეშვეობით;

ე) გაუწევენ დახმარებას ხელისუფლების ორგანოებს ავადმყოფ და დაჭრილ წითელარმიელთა, ომის ინვალიდთა და დემობილიზაციით განთავისუფლებულთა მკურნალობის საქმის დაყენებისა და მათი სხვა მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის;

ვ) მოაწყობენ საკულტურო-საგანმანათლებლო მუშაობას ავადმყოფ და დაჭრილ წითელარმიელთა, ომის ინვალიდთა და დემობილიზაციით განთავისუფლებულთა შორის;

ზ) ხელს შეუწყობენ ინვალიდთა პროტეზებით მომარაგების საქმეს;

თ) მოაწყობენ წარმოებითი სახელოსნოებს, სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებს, სასოფლო-სამეურნეო ახალშენებს და სხვა;

ი) მოაწყობენ ინვალიდთათვის პროფესიონალური სწავლების სკოლებს და აგრეთვე სტიპენდიებით, სახელმძღვანელოებით და სხვ. უადვილებენ მათ სწავლას სახელმწიფო ორგანოების მიერ მოწყობილ სკოლებში;

კ) ხელს შეუწყობენ ინვალიდთა კოოპერაციას.

II.

**ინვალიდთა დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტის ორგანოები.**

4. ავადმყოფ და დაჭრილ წითელარმიელთა, ომის ინვალიდთა, დემობიზაციით განთავისუფლებულთა და მათ ოჯახთა დამხმარე მთავარი ორგანო საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე არის სრულიად საქართველოს კომიტეტი, რომელიც არსებობს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან და იმყოფება ტფილისში.

ინვალიდთა დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტის ადგილობრივი ორგანოებია:

влетворения нужд больных и раненых красноармейцев, инвалидов войны и демобилизованных;

е) организуют культурно-просветительную деятельность среди больных и раненных красноармейцев, инвалидов войны и демобилизованных;

ж) содействуют в снабжении инвалидов протезами;

з) организуют производственные мастерские, торгово-промышленные заведения, сельско-хозяйственные колонии и проч.;

и) организуют школы профобучения для инвалидов, а также облегчают обучение их в школах, организованных государственными органами, путем выдачи стипендий, пособий и пр.;

к) содействуют кооперации инвалидов.

II.

**Органы Всегрузкомпом-а.**

4. Главным органом помощи больным и раненым красноармейцам, инвалидам войны, демобилизованным и их семействам на территории ССР Грузии является Всегрузкомпом, состоящий при Всегрузинском Центральном Исполнительном Комитете и находящийся в Тифлисе.

Местными органами Всегрузкомпома являются:

а) Комитеты помощи (Компомы), организуемые в пределах Автономной Республики Аджарии, Автономной Области Южной Осетии и Союзной ССР Абхазии при их ЦИК-ах;

б) уездные комиссии помощи (Уездкомпомы), организуемые в уездах;

в) уполномоченные, исполняющие функции этих комитетов при отсутствии их и

г) совещания из представителей перечисленных выше органов, созываемые не реже одного раза в год.

III.

**Всегрузкомпом.**

5. Пленум Всегрузинского Комитета помощи состоит из представителей: Всегрузцика, ЦК КПГ, Женотдела ЦК КПГ, ЦК ЛКСМГ, Совпрофа Грузии, НКСО, НКЗдрава,

ა) ინვალიდთა დამხმარე კომიტეტები, მოწყობილი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში და აფხაზეთის მოკავშირე სოც. საბჭ. რესპუბლიკაში, ამ რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან;

ბ) ინვალიდთა დამხმარე სამაზრო კომისიები, მოწყობილი ყველა მაზრაში;

გ) რწმუნებულნი, რომელნიც ამა კომიტეტების ან კომისიების ფუნქციებს ასრულებენ იქ, სადაც კომიტეტი ან კომისია არ არსებობს;

დ) ზემოდ ჩამოთვლილი ორგანოების წარმომადგენელთაგან შემდგარი თათბირები, რომლებიც მოწვეულ იქნებიან წელიწადში ერთხელ მაინც.

III.

**ინვალიდთა დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტი.**

5. ინვალიდთა დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტის პლენუმი შესდგება შემდეგ ორგანიზაციათა და უწყებათა წარმომადგენელთაგან: სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა, იმავე კომიტეტის ქალთა განყოფილებისა, საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი, სოციალურ უზრუნველყოფის და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებისა, ა|კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა (საქართველოში), საქართველოს სამხედრო კომისარიატისა, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისა, ცეკავშირისა, საქართველოს გლეხთა კომიტეტის ცენტრალური ბიუროსი და თითო წარმომადგენელი მოკავშირე და ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკებისა და ოლქისა.

**შენიშვნა** 1. სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი გაგზავნის კომიტეტში ორ წარმომადგენელს, დანარჩენი ზემოჩამოთვლილი ორგანიზაციები და უწყებები კი თითოს.

**შენიშვნა** 2. ინვალიდთა დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტის პლენუმს უფლება აქვს კოოპტაციის წესით მიიწვიოს თავის შედგენილობაში ესა თუ ის

Уползакнаркомфина в Грузии, Военкома Грузии, Грузинского О-ва Красного Креста, Цекавшири, Центральное бюро Кресткомов Грузии и по одному представителю от союзной и автономных СС Республик и Области.

*Примечание 1.* Народный Комиссариат Социального Обеспечения делегирует в Всегрузкомпом двух представителей, а все остальные выше перечисленные организации и ведомства по одному представителю.

*Примечание 2.* Пленуму Всегрузкомпома предоставляется право кооптации отдельных лиц, кои окажутся полезными для деятельности помощи больным и раненным красноармейцам, инвалидам войны и демобилизованным.

6. Председателем Взегрузкомпома является Председатель Всегрузцик-а.

7. Два заместителя председателя и два члена Президиума избираются самим Комитетом из своего состава.

Президиум является исполнительным органом Комитета, руководит его деятельностью и ведет всю текущую работу. Президиуму предоставляется право приглашать ответственного секретаря Комитета.

8. Пленарные заседания Комитета происходят не реже одного раза в два месяца.

9. Для выполнения возложенных на него задач, по постановлению Комитета, Всегрузкомпом организует при себе необходимые управления и отделы.

10. Всегрузкомпом, Компомы и местные органы, а также торгово-производственные отделы (ст. 22) пользуются правами юридического лица.

Всегрузкомпом периодически опубликовывает отчетность о своей деятельности.

IV.

**Комитеты автономных СС Республик и Области.**

*(Компомы).*

11. Для проведения в жизнь мероприятий Всегрузкомпома и содействия последнему в осуществлении его за-

პირი, უკეთუ თუ იგი სასარგებლო იქნება კომიტეტისათვის და ამასთანავე რაიმე დამსახურება მიუძღვის ავადმყოფ და დაჭრილ წითელარმიელთა, ომის ინვალიდთა და დემობილიზაციით განთავისუფლებულთა დახმარების სფეროში.

6. ინვალიდთა დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტის თავმჯდომარედ არის სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე.

7. კომიტეტის თავმჯდომარის ორ მოადგილეს და პრეზიდიუმის ორ წევრს აირჩევს თავის შედგენილობიდან თვით კომიტეტი.

პრეზიდიუმი არის კომიტეტის აღმასრულებელი ორგანო, იგი ხელმძღვანელობს კომიტეტის მოქმედებას და აწარმოებს მთლად მიმდინარე მუშაობას. პრეზიდიუმს უფლება აქვს მოიწვიოს კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი.

8. კომიტეტის პლენალური სხდომები გაიმართება ორ თვეში ერთხელ მაინც.

9. დაკისრებულ მოვალეობათა აღსასრულებლად, კომიტეტის დადგენილებით, ინვალიდთა დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტი დააარსებს და მოაწყობს საჭირო სამმართველოებს და განყოფილებებს.

10· ინვალიდთა დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტს, დახმარების კომიტეტებს და ადგილობრივ ორგანოებს, აგრეთვე სავაჭრო-საწარმოო განყოფილებათ (მუხ. 22) აქვთ იურიდიული პირის უფლება.

სრულიად საქართველოს კომიტეტი პერიოდულად გამოაქვეყნებს თავისი მოქმედების ანგარიშს.

## IV.

### ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის კომიტეტები.

11. ინვალიდთა დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტის ღონისძიებათა და დასახულ მიზანთა განსახორციელებლად, თვითეული ავტონომიური და მოკავშირე სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან მოეწყობა ავადმყოფ და დაჭრილ წითელარმიელთა, ომის ინვალიდთა და დემობილიზაციით განთავისუფლებულთა დამხმარე კომიტეტი, რომელიც ხელმძღვანელობას, ინსტრუქტორობას და კონტ-

дач при ЦИК-ах каждой автономной и союзной СС Республики и Области организуется Компом (Комитет помощи больным и раненым красноармейцам, инвалидам войны и демобилизованным), который руководит, инструктирует и контролирует деятельность местных Уездкомпомов и Уполномоченных.

12. Комитеты автономных единиц строятся по тому же типу, как и Всегрузкомпом.

13. Комитеты отдельных автономных СС Республик и Области, соответственно Конституции ССРГ находятся в подчинении как Всегрузкомпом-а, так и своего ЦИК-а.

14. Председателями Компом-ов являются Председатели соответствующих ЦИК-ов.

15. Все могущие возникнуть спорные вопросы между Всегрузкомпомом и Компом-ом автономной единицы подлежат разрешению ЦИК-а ССРГ.

## V.

### Местные органы.

16. С той же целью (ст. 11) в каждом уезде, по предложению Президиума Всегрузкомпома, может быть организуем Уездкомпом из представителей: Исполкома, Упарткома, Уездпрофбюро, Уездного Комитета Крестьянской Общественной Взаимопомощи, Уездного Военкомрата, Уездной организации Женотдела и Комсомола.

*Примечание.* Уездкомпом-ам предоставляется право кооптации отдельных лиц, наиболее полезных для дела помощи.

17. Уездкомпом-ы действуют под общим руководством Всегрузкомпом-а.

18. Председателями Уездкомпом-ов являются председатели Уездных Исполнительных Комитетов.

## VI.

### Совещания Всегрузкомпома.

19. Один раз в год созывается совещание представителей органов Всегрузкомпома для обсуждения основных вопросов его деятельности.

20. По мере надобности могут быть созываемы и экстренные совещания

რომლს გაუწევს ადგილობრივ სამაზრო დამხმარე კომიტეტებისა და რწმუნებულების მოქმედებას.

12. ავტონომიური ერთეულის კომიტეტი მოეწყობა იმავე სახით, როგორც ინვალიდთა დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტი.

13. ცალკე ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკებისა და ოლქის კომიტეტები, თანახმად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის კონსტიტუციისა, ემორჩილებიან როგორც ინვალიდთა დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტს, ისე თავისი რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

14. ინვალიდთა დამხმარე კომიტეტების თავმჯდომარეებად არიან სათანადო რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარენი.

15. ყველა სადაო საკითხს, რაც შეიძლება აღიძრას ინვალიდთა დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტსა და ავტონომიური ერთეულის კომიტეტს შორის, გადასწყვეტს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

V.

**ადგილობრივი ორგანოები.**

16. იმავე მიზნით (მუხ. 11) ინვალიდთა დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტის პრეზიდიუმის წინადადებით ყოველ მაზრაში შეიძლება დაარსდეს ინვალიდთა დამხმარე სამაზრო კომისია, რომელიც შესდგება: სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტისა, სამაზრო პარტიული კომიტეტისა, სამაზრო პროფბიუროსი, გლეხთა საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების სამაზრო კომიტეტისა, სამაზრო სამხედრო კომისარიატისა, ქალთა სამაზრო ორგანიზაციისა და ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის სამაზრო ორგანიზაციის წარმომადგენელთაგან.

**შენიშვნა.** ინვალიდთა დამხმარე სამაზრო კომისიას უფლება აქვს კოოპტაციით მიიწვიოს ეს თუ ის პირი, რომელიც სასარგებლო იქნება ინვალიდთა დახმარების საქმისათვის.

17. ინვალიდთა დამხმარე სამაზრო კომისია მოქმედებს ინვალიდთა დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტის საერთო ხელმძღვანელობით.

18. ინვალიდთა დამხმარე სამაზრო

Всегрузкомпом-ом по постановлению Президиума последняго.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VII.

**Средства Всегрузкомпом-а.**

21. Основным источником средств Всегрузкомпом-а являются:

а) поступления, носящие характер обязательных взносов, право на которые предоставлено будет Всегрузкомпом-у;

б) пожертвования как регулярные, так и случайные, сборы и отчисления;

в) доходы от торгово-промышленных производственных предприятий (ст. 22), сельско-хозяйственных колоний и пр.;

г) доходы от концертов, спектаклей, лекций и пр.

22. Торгово-промышленная и производственная деятельность Всегрузкомпом-а проводится Управлениями и Отделами при нем на основах особого положения, утвержденого Президиумом Всегрузкомпом-а.

23. В своей производственной и торгово-промышленной деятельности Всегрузкомпом, являясь учреждением благотворительным, не преследует целей выгоды.

24. Каждый Компом автономной Республики и Области или Уездкомпом изыскивает средства в пределах своей территории, но обязан подчиняться инструкциям и директивам Всегрузкомпом-а как в порядке изыскания средств, так и в смысле производства различных отчислений.

Всегрузкомпом строит свою деятельность на принципе единства кассы.

VIII.

**Порядок ликвидации.**

25. Ликвидация Всегрузкомпом-а производится по постановлению ВЦИК-а, ликвидация же Компом-ов и Уездкомпом-ов производится по постановлению Всегрузкомпом-а.

26. В случае ликвидации Всегрузкомпом-а, имущество его переходит к Народному Комиссариату Социального Обеспечения ССР Грузии.

27. В случае ликвидации одного из местных органов Всегрузкомпом-а

კომისიის თავმჯდომარედ არის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე.

VI.

**ინვალიდთა დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტის თათბირი.**

19. ინვალიდთა დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტის მოქმედების ძირითადი საკითხების განსახილველად წელიწადში ერთხელ შეიკრიბება ინვალიდთა დამხმარე ორგანოთა წარმომადგენლების თათბირი.

20. ინვალიდთა დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით, საჭიროებისამებრ შეიძლება მოწვეულ იქნეს ინვალიდთა დამხმარე ორგანოების სასწრაფო თარბირიც.

VII.

**ინვალიდთა დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტის სახსარი.**

21. ინვალიდთა დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტის ძირითად სახსარს შეადგენს:

ა) შემოსავალი სავალდებულო ხასიათის გადასახდელისა, რომლის შომოღების უფლებაც მიეცემა ინვალიდთა დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტს;

ბ) შემოწირულება, როგორც რეგულიარული, ისე შემთხვევითი, გამოსაღები და ანარიცხი;

გ) შემოსავალი სავაჭრო-სამრეწველო და წარმოებითი დაწესებულებისა (მუხ. 22), სასოფლო-სამეურნეო ახალშენებისა და სხვ.;

დ) შემოსავალი კონცერტებისა, წარმოდგენებისა, ლექციებისა და სხვ.

22. ინვალიდთა დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტის სავაჭრო-სამრეწველო და წარმოებითი მუშაობას განახორციელებენ მისი სამმართველოები და განყოფილებანი იმ ცალკე დებულების საფუძველზე, რასაც დაამტკიცებს ამავე კომიტეტის პრეზიდიუმი.

23. ინვალიდთა დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტი თავის წარმოებითი და სავაჭრო-სამრეწველო მუშაობაში არის საქველმოქმედო დაწესებულება და არ მისდევს მოგებას.

24. ინვალიდთა დამხმარე ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქის კომიტეტი ან სამაზრო კომისია სახსარს გამონახავს თავის ტერიტორიის ფარგლებში, имущество его переходит к Всегрузкомпом-у.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *М. Цхакая.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1924 г. ноября 18.
Тифлис—Дворец.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო როგორც სახსრის გამონახვისა, ისე სხვა და სხვა ანარიცხის განსაზღვრის საქმეში ემორჩილება ინვალიდთა დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტის ინსტრუქციებს და დირექტივებს.

ინვალიდთა დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტის მოქმედება დამყარებულია ერთიანი კასის პრინციპზე.

## VIII.

### ლიკვიდაციის წესი.

25. ინვალიდთა დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტის ლიკვიდაცია მოხდება სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, ხოლო ლიკვიდაცია ინვალიდთა დამხმარე კომიტეტისა და სამაზრო კომისიებისა—ინვალიდთა დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტის დადგენილებით.

26. უკეთუ მოხდა ინვალიდთა დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტის ლიკვიდაცია, მისი ქონება მთლად გადადის საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ხელში.

27. უკეთუ მოხდა ინვალიდთა დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტის ერთ-ერთი ადგილობრივი ორგანოს ლიკვიდაცია, მისი ქონება გადადის ინვალიდთა დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტის ხელში.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ხ. თოდრია.**

1924 წ. ნოემბრის 18.
ტფილისი—სასახლე.

10-05-02

## 37. დადგენილება № 122

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა**

**სადისციპლინო სასამართლოს დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ.**

ისეთი პირების სამსახურებრივ დაუდევრობასთან, მცირე დანაშაულთან და არა სათანადო მოქმედებასთან საბრძოლველად, რომელთაც სახელმწიფო ორ-

## 37. Постановление № 122

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов**

**О введении в действие Положения о Дисциплинарных Судах.**

В целях борьбы со служебными упущениями, проступками и неправильными действиями лиц, занимающих ответственные должности в го-

განოში პასუხსაგები თანამდებობანი უჭირავთ, უკეთუ ასეთ მოქმედებისათვის არ შეიძლება დამნაშავის დასჯა სისხლის სამართლის წესით, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ამასთანავე დართული დებულება სადისციპლინო სასამართლოს შესახებ.

2. გაუქმებულ იქნეს „რესპუბლიკის საბჭოთა დაწესებულებების მოსამსახურეთათვის დისციპლინალური და ადმინისტრატიული სასჯელის დაწესების შესახებ“ 1921 წლის ივლისის 14-ს თარიღითა და 55 №-ით გამოცემული დეკრეტის ნაწილი, რაც შეეხება სადისციპლინო სასამართლოს დებულებაში აღნიშნულ პირებს.

3. სასამართლოს, გამოძიებისა და პროკურატურის მომუშავენი სადისციპლინო პასუხისგებაში მიიცემიან მარტოოდენ იმ წესით, რაც გათვალისწინებულია სასამართლოს წყობილების დებულებით, ესე იგი უზენაესი და ოლქის სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიებისა და არა სადისციპლინო სასამართლოების მიერ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1924 წ. ნოემბრის 18.
ტფილისი—სასახლე.

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### სადისციპლინო სასამართლოსი.

### კ ა რ ი I.

### სადისციპლინო სასამართლოს ორგანიზაცია.

სადისციპლინო სასამართლო მოეწყობა:

ა) მთავარი სადისციპლინო სასამართლო—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან;

ბ) ოლქის სადისციპლინო სასამართლოები—ქ. ტფილისსა და ქუთაისში.

